გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 89

2024 წლის 14 ივნისი

ქალაქი გორი

ფიზიკური პირისთვის, ნიკოლოზ ხმიადაშვილისთვის (პ/ნ 59001013927) აღნაგობის უფლების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2020 წლის 15 დეკემბრის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებისა და 2023 წლის 9 ივნისის N98 განკარგულების საფუძველზე სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობს ნიკოლოზ ხმიადაშვილი (პ/ნ 59001013927), რომლის საგანს წარმოადგენს კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 2041.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.46.26.003.058.

ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილმა (პ/ნ 59001013927) 2024 წლის 13 მაისის N19/2024134393-20 განცხადების საფუძველზე მოითხოვა მუნიციპალიტეტის თანხმობა, გაასხვისოს მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება ფ.პ. შოთა მეტრეველზე (პ/ნ 01019057682). ხოლო, ფ.პ. შოთა მეტრეველმა (პ/ნ 01019057682) 2024 წლის 13 მაისის N19/2024134397-20 განცხადებით, გამოთქვა სურვილი ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილისგან მიიღოს აღნაგობის უფლება, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებით.

მოქ. ნიკოლოზ ხმიადაშვილმა 2023 წლის 9 ივნისის N98 განკარგულების საფუძველზე აიღო ვალდებულება 2020 წლის 15 დეკემბერის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან დაკავშრებით, რისთვისად განესაზღვრა ვადა 18 თვე. აღნაგობის უფლების მიღების შემთხვევაში მოქ. შოთა მეტრეველი იღებს ვალდებულებას მითითებულ ვადაში უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ: უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებას და კომერციული დანიშნულებით ობიექტის ფუნქციონირებას. ასევე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ობიექტზე დაასაქმებს საქართველოს 10 მოქალაქეს.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ე მუხლის მიხედვით თუ მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის უფლების გასასხვისებლად ან გასაქირავებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ამ თანხმობის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. ვინაიდან მითითებული ხელშეკრულებით სავალდებულოა მესაკუთრის თანხმობა აღნაგობის უფლების გასასხვისებლად და აღნიშნულ თანხმობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი არ არსებობს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილს (პ/ნ 59001013927) მისცეს თანხმობა, გაასხვისოს 2020 წლის 15 დეკემბრის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით და 2023 წლის 9 ივნისის N98 განკარგულების საფუძველზე მინიჭებული აღნაგობის უფლება ფ.პ. შოთა მეტრეველზე (პ/ნ 01019057682), ამავე ხელშეკრულებით და განკარგულებით გათვალისწინებული პირობებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ემუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ფ.პ. ნიკოლოზ ხმიადაშვილს (პ/ნ 59001013927) მისცეს თანხმობა აღნაგობის უფლების (საგანი: კარალეთის ადმინისტრაციულ ერტეულში მდებარე 2041.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.46.26.003.058) ფ.პ. შოთა მეტრეველზე (პ/ნ 01019057682) გასხვისებაზე, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებითა და 2023 წლის 9 ივნისის N98 განკარგულებით გათვალისწინებული პირობებით.

3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე